საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 57 2020 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №23 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №23 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ირაკლი ბურდული – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

დიმიტრი გეგენავა – შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოციირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნიკოლოზ კიკნაძე – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი – საბჭოს მდივანი;

მანანა კევლიშვილი – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ნინო დობორჯგინიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

თამარ ტუფინაშვილი – შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გურანდა ჭელიძე – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

ეკა ეკალაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;

გიორგი თურქია – ა(ა)იპ – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

ირმა წერეთელი – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

ნიკა თიკანაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.“.

გიორგი გახარია

№1